



საქართველო

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ქალაქი ფოთი

№ 04/1939

16 / დეკემბერი / 2019 წ.



KA000040846855619

ქალაქ ფოთში, სერგი დანელიას ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაციის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე-ე“ ქვეპუნქტის, 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის, „თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა და სახელმწიფოს ქონებაზე (წიაღის ჩათვლით) დამაგრებული და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საზოგადოების ქონებაზე დამაგრებული მიწების, აგრეთვე იმ მიწების, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ექვემდებარება დასახლებული კატეგორიის ქონებაზე დამაგრებას, განსაზღვრისა და გამიჯვნის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2007 წლის 24 ოქტომბრის, N 233 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს, 2019 წლის 11 დეკემბრის N 5/72597 ნერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტისათვის მიკუთვნებული ქონება, ქალაქ ფოთში, სერგი დანელიას ქუჩაზე მდებარე ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტზე (საავტომობილო გზა) დამაგრებული 2326.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად, ძირითადი ქონების სახით.

მუხლი 2. ეთხოვოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დაარეგისტრიროს ბრძანების პირველ მუხლში მითითებული უძრავი ქონება, თანდართული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის (ელ. ვერსია) შესაბამისად.

მუხლი 3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს კონსტანტინე თოფურიას.

მუხლი 4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მის. ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 3).

მუხლი 5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად



გონა კურდღელია